



ხელშეკრულება № G12/131

ზუგდიდი, ცაიშვილის 32

15 ივნისი, 2022.

ხელშეკრულების მხარეები:

სკოლის დასახელება: შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია -ჯიჯი 220389559

მოსწავლის სახელი და გვარი:

მოსწავლის დაბადების თარიღი:

მოსწავლის მშობლები:

დედა: \_\_\_\_\_

მამა: \_\_\_\_\_

მისამართი: ფაქტ: \_\_\_\_\_

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: \_\_\_\_\_

ელ/ფოსტა \_\_\_\_\_

„შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯი“ (შემდგომში „გიმნაზია-ჯიჯი“),  
წარმოდგენილი, მისი დირექტორის -----სახით და, მეორე მხრივ, 12\_ა  
კლასის მოსწავლე: \_\_\_\_\_

მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი: დედა: \_\_\_\_\_

(შემდგომში: მშობელი/წარმომადგენელი/დამკვეთ), „ზოგადი განათლების შესახებ“  
საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე  
ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 2022-2023 სასწავლო წლიდან ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
- 1.2. მხარეები თანახმანი არიან მათ შორის არსებული ურთიერთობები დარეგულირდეს წინამდებარე ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობითა და გიმნაზია-ჯიჯი შინაგანაწესით (გიმნაზიის კონსტიტუციით);
- 1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ კეთილსინდისიერად დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს;
- 1.4. ხელშეკრულება დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად.

## **მუხლი 2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეწყვეტის წესი**

2.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან ;

2.2. „გიმნაზია-ჯიჯი“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას განახორციელებს მას შემდეგ, რაც მოსწავლე აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის ბაზაში ;

2.3. „გიმნაზია-ჯიჯი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ გარკვეული ხარვეზის არსებობის შემთხვევაში ვერ მოხდა მოსწავლის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამის ბაზაში მოსწავლის დარეგისტრირება ” „გიმნაზია-ჯიჯისგან“ დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

2.4. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა დასაშვებია:

2.4.1. მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების ფორმით;

2.4.2. „გიმნაზია -ჯიჯის“ კონსტიტუციით (შინაგანაწესით) და კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შემთხვევაში;

2.4.3. მოსწავლის/მშობლის, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, „გიმნაზია -ჯიჯის“ კონსტიტუციის (შინაგანაწესის), დებულებებისა და ინსტრუქციების დარღვევის შემთხვევაში;

2.4.4. მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის შემთხვევაში;

5.1.1 2.4.5. აღნიშნული პუნქტი 2.4 არ ათავისუფლებს მშობელს/დამკვეთს მომსახურების/სწავლის ღირებულების გადახდისაგან, გადახდა უნდა განხორციელდეს 5.3 პუნქტის შესაბამისად)

5.1.2 „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია, თუ მას არ ჰყავს სამართალმემკვიდრე ან უფლებამონაცვლე.

## **მუხლი 3. მხარეთა უფლება/ მოვალეობები**

### **3.1 „გიმნაზია-ჯიჯი“ ვალდებულია:**

3.1.1. სასწავლო პროცესის განმავლობაში მოსწავლე უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოთი;

3.1.2 სისტემატურად აკონტროლოს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე დასწრება;

3.1.3 მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ;

3.1.4 უზრუნველყოს სასწავლო პროცესის ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად წარმართვა ნაკისრი ვალდებულების უწყვეტი მიწოდება საკლასო, ჰიბრიდული ან სხვა კანონით დადგენილი ფორმით;

3.1.5 სასწავლო ოთახები აღჭურვოს სასწავლო ინვენტარით, სასწავლო რესურსებით, ტექნიკური და მეთოდური საშუალებებით, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესრულებისათვის;

3.1.6 იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულ და ფიზიკურ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, დაიცვას მოსწავლის უფლებები და ინტერესები.

### **3.2. „გიმნაზია-ჯიჯის“ უფლება აქვს:**

3.2.1 მოსთხოვოს მშობელს/წარმომადგენელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და სკოლის შინაგანაწესით დადგენილი ნორმების დაცვა;

3.2.2 არ დაუშვას მშობელი/წარმომადგენელი სკოლაში შინაგანაწესით ნებადართული მიღების საათებისა და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა;

3.2.3 სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ჩამოართვას მოსწავლეს ნივთები (მობილური ტელეფონი, ტექნიკური საშუალებები და სხვ.), რომელიც ხელს უშლის სასწავლო პროცესის წარმართვას და დააბრუნოს სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ;

3.2.4 დაითხოვოს მოსწავლე დროებით ან გარიცხოს (საშუალო საფეხურის მოსწავლის შემთხვევაში) „გიმნაზია-ჯიჯის“ შინაგანაწესით განსაზღვრულ შემთხვევაში;

3.2.5 მოუწოდოს მშობელს/წარმომადგენელს ჩაერთოს „გიმნაზია-ჯიჯის“ ცხოვრებაში, მიიღოს მონაწილეობა სკოლის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში;

3.2.6 მოსთხოვოს მშობელს/წარმომადგენელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

### **3.3. მშობელი/წარმომადგენელი/დამკვეთი ვალდებულია:**

3.3.1 დაიცვას „გიმნაზია-ჯიჯი“-ს შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმები;

3.3.2 იყოს კორექტული, საერთო მიზნების მიღწევისთვის ითანამშრომლოს გიმნაზია-ჯიჯისთან და შეინარჩუნოს კეთილგანწყობა სკოლისა და მისი თანამშრომლების მიმართ;

3.3.3 მოსწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიური კავშირი იქონიოს კლასის დამრიგებელთან და სკოლის დირექციასთან;

3.3.4 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით, ვადაში და ოდენობით მოახდინოს სწავლის საფასურის გადახდა; (სწავლის საფასური გათვლილია

3.3.5 მოსწავლე „გიმნაზია-ჯიჯიში“ გამოუშვას შინაგანაწესით განსაზღვრული წესის შესაბამისად ჩაცმული, სასწავლო ნივთებით აღჭურვილი; ყურადღება მიაქციოს, რომ არ ატაროს „გიმნაზია-ჯიჯის“ შინაგანაწესით აკრძალული ნივთები (სწავლისათვის შეუსაბამო ტექნიკური საშუალებები, ცივი იარაღი და ა.შ. აკრძალული ნივთები დეტალურადაა განსაზღვრული სკოლის შინაგანაწესით );

3.3.6 დაესწროს „გიმნაზია-ჯიჯიში“ დაგეგმილ ღონისძიებებს და სასკოლო აქტივობებს, მათ შორის, მშობელთა კრებებს. მშობელთა კრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებლობის მიზეზი წინასწარ შეატყობინოს კლასის ტუტორ/დამრიგებელს;

3.3.7 ნებისმიერი პრობლემა და გაუგებრობა გაარკვიოს მოსწავლის კლასის ტუტორ/დამრიგებელთან ან/და „გიმნაზია-ჯიჯის“ დირექციასთან;

3.3.8 „გიმნაზია-ჯიჯის“ ექიმს/დირექციას აცნობოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ქრონიკული/გადამდები დაავადებისა და ალერგიის შესახებ;

3.3.9 გადამდები დაავადების შემთხვევაში სკოლაში არ მოიყვანოს მოსწავლე და დამრიგებელს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ;

3.3.10 არ გააცდენინოს მოსწავლეს სკოლა არასაკმატო მიზეზით. წინასწარ აცნობოს ტუტორ/დამრიგებელს მოსალოდნელი გაცდენის შესახებ;

3.3.11 თავი შეიკავოს „გიმნაზია-ჯიჯის“ ნებისმიერი მოსწავლის, მშობლის/წარმომადგენლის ან თანამშრომლის შეურაცხყოფისაგან, ასევე, მასწავლებლისა და სკოლის ავტორიტეტის შელახვისაგან;

3.3.12 აანაზღაუროს მოსწავლის მიერ დაზიანებული „გიმნაზია-ჯიჯის“ ინვენტარის ან ტექნიკის ღირებულება „გიმნაზია-ჯიჯის“ დირექციის მოთხოვნის საფუძველზე;

3.3.13 მოსწავლის ამორიცხვის/გარიცხვის/სტატუსის შეჩერების, ან სხვა სკოლაში გადაყვანის შემთხვევაში, „გიმნაზია-ჯიჯის“ დაუყოვნებლივ დაუბრუნოს გადაცემული სასწავლო რესურსი.

3.3.14 დაესწროს გიმნაზია-ჯიჯის მიერ ორგანიზებულ ექსკურსიებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს და ზედამხედველობა გაუწიოს მოსწავლის ქმედებებს. დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული წინასწარ შეატყობინოს კლასის დამრიგებელს;

**3.3.15 დაწყებითი კლასების (I-IV) მოსწავლის შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესის დასრულებისას მოაკითხოს მოსწავლეს წასაყვანად არაუგვიანეს, 16:30. საათამდე. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების შემთხვევაში მოსწავლის გიმნაზიაში შესვლისა და გასვლის დრო სასწავლო კვირის განმავლობაში საგაკვეთილო ცხრილის მიხედვით შესაძლოა განსხვავებული იყოს.**

3.3.16 შეატყობინოს გიმნაზია ჯიჯის ხელშეკრულებით განსაზღვრული რეკვიზიტების (საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი) ცვლილების შესახებ.

**3.4 მშობელს/წარმომადგენელს უფლება აქვს:**

3.4.1 მოითხოვოს გიმნაზია ჯიჯისგან წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვა;

3.4.2 მოითხოვოს „გიმნაზია ჯიჯისგან“ სასწავლო პროცესის წარმართვა მაღალკვალიფიციურად;

3.4.3 მოითხოვოს „გიმნაზია ჯიჯისგან“ მოსწავლისადმი სამართლიანი, ობიექტური და თავაზიანი დამოკიდებულება;

3.4.4 მოითხოვოს საგნების მიხედვით მოსწავლის ობიექტური შეფასება.

3.4.5 მშობელს/დამკვეთს უფლება აქვს სემესტრის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია (ელ. დღიურის ან პირადი შეხვედრების ან დაგეგმილი სასკოლო ღონისძიებებისა და აქტივობების საშუალებით) მოსწავლის სასკოლო ცხოვრების, მისი პიროვნული და აკადემიური განვითარების/მოსწრების შესახებ.

**3.5. მოსწავლე უფლებამოსილია:**

3.5.1 მიიღოს სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი მაღალი ხარისხის განათლება;

3.5.2 პედაგოგთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში, მიმართოს დირექციას ან/და კლასის ტუტორ/დამრიგებელს და გამოხატოს თავისი შეხედულება.

**3.6. მოსწავლე ვალდებულია:**

3.6.1 იყოს თავაზიანი, პატივისცემით მოეპყრას მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯიში“ დასაქმებულ სხვა პირებს და შეასრულოს შინაგანაწესით გათვალისწინებული პუნქტები;

3.6.2 დაემორჩილოს სკოლის დირექტორის, მასწავლებლის, ტუტორ/დამრიგებლის „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯიში“ დასაქმებული სხვა პირის კანონიერ მითითებებს;

3.6.3 დაიცვას „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯი“ შინაგანაწესი და მოსწავლის ქცევის კოდექსი; გაუფრთხილდეს „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ ქონებას.

#### **მუხლი 4. სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები**

4.1 მოსწავლის სასწავლო წლისა და არდადეგების დროის დაწყებისა და დამთავრების თარიღები, საგაკვეთილო პროცესის დაწყებისა და დამთავრების, დასვენების ხანგრძლივობა დგინდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 03 სექტემბრის N84/ნ ბრძანებით, „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ შინაგანაწესითა და სასკოლო სასწავლო გეგმით;

4.2 დასვენების დღეებია შაბათი და კვირა. საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია კვირაში ექვსდღიანი სწავლებაც. კერძოდ, ექვსდღიანი სწავლება დასაშვებია, თუ:

4.2.1 „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ სასწავლო გეგმიდან გამომდინარე სკოლა გადაწყვეტს ყოველდღიური საათობრივი ბადის განტვირთვას;

4.2.2 გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯი“ გაცდება სასწავლო დღე/დღეები;

4.2.3 ობიექტური მიზეზების გამო „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯი“ მიზანშეწონილად მიიჩნევს კვირის რომელიმე დღე განსაზღვროს დასვენების დღედ სამინისტროსთან შეთანხმებით;

4.3 „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ დასვენების დღეები განსაზღვრულია „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი დღეების მიხედვით.

#### **მუხლი 5 ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები**

5.1. ხელშეკრულების ღირებულება გათვლილია 2022-2023 სასწავლო წელზე, საგანმანათლებლო მომსახურების კანონით განსაზღვრულ ნებისმიერ ფორმაზე.

5.3.1. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში (ორჯერადი და ვადის დაცვით გადახდით) X-XII კლასებში სწავლის საფასური შეადგენს **3000 ლარს (სამი ათასი) ეტაპობრივად დაფარვის შემთხვევაში: 3300 (სამი ათას სამასი) ლარს. უნდა მოხდეს 8 თვის განმავლობაში- 412 ლარის ოდენობით 10-სექტებრი- 10 აპრილის ჩათვლით.**

5.2. ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი მოსწავლის შემთხვევაში, წლიური გადასახადის შეღავათი შეადგენს **500 ლარს**. სწავლის საფასური არ ფარავს სახელმძღვანელოების, კვების, ფორმის, ოლიმპიადებში მონაწილეობის საცურაო აუზის პერსონალის მომსახურების, არდადეგების პერიოდში განხორციელებული პროექტებისა და სხვა დამატებით ხარჯებს, რომლებიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული არ არის. გადახდა ხდება ორჯერადად უნაღდო ანგარიშსწორებით გიმნაზია-ჯიჯის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებით

5.3. „დამკვეთი“/“მშობელი“ ვალდებულია მომსახურების საფასური, (სასწავლო წლის სწავლის ღირებულების 20% ) გადაიხადოს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მომდევნო პერიოდების სწავლის საფასური გადაიხადოს შემდეგნაირად:

5.3.1. პირველი სემესტრის სწავლის საფასურის (სასწავლო წლის სწავლის ღირებულების გადახდა ხდება მიმდინარე წლის არაუგვიანეს, **10 აგვისტოსი**).

5.3.2. მეორე სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა ხდება არაუგვიანეს, **10 დეკემბრამდე**. (სასწავლო წელი განისაზღვრება 15 სექტემბრიდან 15 ივნისის ჩათვლით).

5.3.3. იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე ჩაირიცხება სკოლაში შუა სასწავლო პერიოდში (I ან II სემესტრის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას) სწავლის საფასური გამოითვლება შემდეგნაირად : სასწავლო დღეების რაოდენობის პროპორციულად, რომელსაც ემატება ერთჯერადი გადასახადი, სკოლაში ერთი სასწავლო წლის ღირებულების 5%.

5.3.4. 5.3.3 პუნქტში განსაზღვრული პირობების დადგომის დროს გადახდა ხორციელდება 5.3 პუნქტის მიხედვით.

5.3.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება გაფორმდება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის თარიღებიდან განსხვავებულ პერიოდში, სწავლის ღირებულების 50%-ის გადახდა უნდა განხორციელდეს 2 (ორი) კვირის განმავლობაში .

5.4. გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების სახით სკოლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით ლარში. გადახდის დღედ ითვლება სკოლის საბანკო ანგარიშზე თანხის ასახვის დღე;

5.5. „დამკვეთი/მშობელი“ ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან გადაყვანის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს „სკოლას“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის თარიღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში;

5.6. მომსახურების ღირებულების/სწავლის საფასურის გადახდის შემდეგ „დამკვეთის“ მხრიდან მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაუქმების სურვილის შემთხვევაში გადახდილი თანხა „დამკვეთს“ უკან დაუბრუნდება დარჩენილი სასწავლო დღეების პროპორციულად, რომელსაც გამოაკლდება სკოლაში ერთი სასწავლო წლის ღირებულების 10%.

5.7. მომდევნო პერიოდებში სწავლის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად :

5.7.1. მომდევნო პერიოდებში სწავლის საფასური განისაზღვრება პირველ წელთან მიმართებით ქვეყანაში ინფლაციის ზრდის ტემპის შესაბამისად .

5.7.2. იმ შემთხვევაში მომდევნო წელს ინფლაციის ზრდის ტემპი პირველ წელთან მიმართებით 15%-ზე მეტია, სკოლა უფლებას იტოვებს ყოველ მომდევნო წელიწადში გაზარდოს სწავლის ღირებულება არაუმეტეს ინფლაციის ტემპისა;

5.7.3. ხოლო იმ შემთხვევაში თუ კონტრაქტის მოქმედების წლის მანძილზე, რომელიმე წლის ინფლაცია მინიმუმ ორჯერ აღემატება იმ წლის ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს, გიმნაზია-ჯიჯი უფლებას იტოვებს გაზარდოს სწავლის ღირებულება კონტრაქტის მოქმედების განმავლობაში;

5.8. იმ შემთხვევაში, თუ მშობელმა ამ ხელშეკრულებით (ან დამატებითი შეთანხმებით) განსაზღვრულ ვადებში არ გადაიხადა სწავლების საფასური, სკოლა უფლებამოსილია ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „დამკვეთს“ დაარიცხოს ჯარიმა წლიური გადასახადის 0,1%-ის ოდენობით;

5.9. სწავლის საფასურის ვადაგადაცილების შემთხვევაში „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სკოლა უფლებამოსილია მოსწავლეს შეუწყვიტოს სტატუსი, ხოლო „დამკვეთი“ ვალდებულია უზრუნველყოს მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანა და დავალიანების დაფარვა;

5.10. იმ შემთხვევაში თუ მშობელს სრულად არ აქვს გადახდილი სემესტრის ღირებულება და მოსწავლე გაირიცხა სკოლის შინაგანაწესისა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დებულებების საფუძველზე, „დამკვეთი“/“მშობელი“ არ თავისუფლდება დარჩენილი თანხის გადახდისაგან;

5.11. იმ შემთხვევაში თუ „დამკვეთი“/“მშობელი“ მოსწავლეს სკოლიდან გადაიყვანს ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, სემესტრის სწავლის საფასურის 10%-ის ოდენობით;

5.12. მოსწავლის იგივე კლასში დატოვების შემთხვევაში „დამკვეთი“/“მშობელი“ ხელახლა (განმეორებით) იხდის მიმდინარე სასწავლო წლის სწავლის გადასახადს;

5.13. „გიმნაზია-ჯიჯი“ უფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს ცვლილებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებით მომსახურებების გაწევის კუთხით (იხ. 5.2 მუხლი) აღნიშნული ცვლილების განხორციელება მოახდინოს „დამკვეთთან“/“მშობელთან“ კომუნიკაციის შემდგომ. (აღნიშნულ პუნქტი არ გულისხმობს სასწავლო წლის განმავლობაში სწავლის ღირებულების ცვლილებას);

5.14. იმ შემთხვევაში თუ 5.13 პუნქტით გათვალისწინებულ ცვლილებაზე „დამკვეთი“/“მშობელი“ აცხადებს უარს შეტყობინებაზე უკუკავშირის დროს, გიმნაზია -ჯიჯი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მხარეთა შორის გაფორმებული ძირითადი ხელშეკრულება ;

5.15. 5.14 პუნქტით გათვალისწინებული შეწყვეტის საფუძვლის დადგომისას მხარეები უზრუნველყოფენ შეწყვეტის დღემდე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

### **მუხლი 6.მხარეთა პასუხისმგებლობა. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)**

6.1.„დამკვეთის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით (ან/და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებით) გათვალისწინებული გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელი უფლებამოსილია, დამკვეთის წინასწარი შეტყობინებით, შეაჩეროს ხელშეკრულების შესრულება, ხოლო დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ფასის გადახდის თაობაზე შემსრულებლის ზეპირსიტყვიერი შეტყობინების ან/და ვალის აღიარების შესახებ ნოტარიული ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე განაახლოს მომსახურების გაწევა;

6.2.მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს;

6.3.მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ობიექტურად დაუძლეველი ძალის მოქმედებით, რომლის წინასწარ გათვალისწინება და თავიდან აცილება მხარეებს არ შეეძლოთ (ფორს-მაჟორი): წყალდიდობით, ხანძრით, საომარი მოქმედებებით, ბლოკადით და ასევე სხვა ფორსმაჟორული გარემოებებით, რომლის დადგომაც გამოცხადებულია (დამტკიცებულია) საქართველოს მთავრობის მიერ (ფორს-მაჟორი). ფორს-მაჟორული პირობების დადგომისას მხარე, რომელიც ამ მიზეზით ვერ ახერხებს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს, 3 სამუშაო დღისა) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ;

6.4.თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდება 2 (ორი) თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, თითოეულ მხარეს აქვს უფლება უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, ამასთან, მხარეები არ იქნებიან ვალდებულნი აუნაზღაურონ მეორე მხარეს შესაძლო ზიანი. ასეთ შემთხვევაში ანაზღაურება განხორციელდება გაწეული მომსახურების შესაბამისად ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

### **მუხლი 7. დამატებითი პირობები**

7.1.კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაცვის, არასრულწლოვნის მავნე ზეგავლენისგან დაცვისა და საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის განხორციელების მიზნით, გიმნაზიაში დამონტაჟებულია ვიდეოთვალეები, რომლის ჩანაწერი ინახება სპეციალურ ფაილურ სისტემაში. ასევე, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან თანხმობის შემთხვევაში, ინფორმირების, პიარის და პირდაპირი მონიტორინგის მიზნით, ჯიჯის საინფორმაციო სამსახური, მედიასამუშაოების, საკუთარი ვებ-გვერდის და სხვა, სოციალური ქსელების მეშვეობით ამუშავებს და აქვეყნებს ინფორმაციას, მოსწავლის შესახებ, ტექსტის, ფოტოსურათის ან ვიდეო ჩანაწერების სახით (ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებთ და აძლევთ თანხმობას ჯიჯი-გიმნაზიას ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებაზე.)

7.2. 7.1 გათვალისწინებული პირობებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციის არსებობის შემთხვევაში, შეგიძლიათ სიტყვიერად დააფიქსიროთ ხელმოწერამდე

7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;

7.4. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

7.5. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით, დამატებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

### მუხლი 8. შინაგანაწესის გაცნობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ შინაგანაწესი;

8.2. „შპს ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია-ჯიჯის“ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი დასტურდება ხელისმოწერით: ასევე ვადასტურებ, 7.1 მუხლის პირობებზე თანხმობას.

განსხვავებული პირობა: 7.1 მუხლთან დაკავშირებით:

(შობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა)

### მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<b>«შემსრულებელი»</b>	<b>«შემკვეთი»</b>
შპს „ალექსანდრე ლურჯაიას გიმნაზია -ჯიჯის“ დირექტორის მ/შ ნინოჭიჭინაძე 2100 საქართველო, ზუგდიდი, ცაიშვილის N32 ტელ: +995 598 888 111 საბანკო რეკვიზიტები საქართველოს ბანკი : IBAN: GE49BG0000000533826527 საიდენტიფიკაციო კოდი 220389559	მშობელი/წარმომადგენელი დედა: _____ მამა: _____ მისამართი: ფაქტ: ზუგდი _____ საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: _____ ელ/ფოსტა _____ (ხელმოწერა)
(ხელმოწერა)	

საკონტაქტო ინფორმაციაში ცვლილება:

---

---

---

---

---